TBILISI INTERNATIONAL

# ARCHIVAL FILM FESTIVAL

თბილისის საარქივო

# ფილმების

საერთაშორისო ფესტივალი

17–20
სექტემბერი
SEPTEMBER
2024



TIAFF@archives.gov.ge   www.archives.gov.ge   1 Vazha-Pshavela Ave. /40 Pekini Ave.

# კატალოგი
# CATALOGUE


01 ბულგარეთის ეროვნული კინოარქივი
BULGARIAN NATIONAL FILM ARCHIVE

02 კატალონიის კინოარქივი
CATALONIA FILM ARCHIVE

03 ხორვატიის სახელმწიფო არქივი – ხორვატიის კინოთეკა
CROATIAN STATE ARCHIVES – CROATIAN CINEMATHEQUE

04 ჩეხეთის ეროვნული კინოარქივი
CZECH NATIONAL FILM ARCHIVE

05 ესტონეთის ეროვნული არქივის კინოარქივი
FILM ARCHIVE OF THE NATIONAL ARCHIVES OF ESTONIA

06 გერმანიის კინოს ინსტიტუტი და კინოს მუზეუმი
DFF – GERMAN FILM INSTITUTE & FILM MUSEUM

07 საქართველოს ეროვნული არქივი
NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

08 საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
NATIONAL FILM CENTER OF GEORGIA

09 უნგრეთის ეროვნული კინოინსტიტუტი
NATIONAL FILM INSTITUTE HUNGARY - FILM ARCHIVE

10 მალტის ეროვნული არქივი
NATIONAL ARCHIVES OF MALTA

11 მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საარქივო სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR ARCHIVES, REPUBLIC OF MOLDOVA

12 ანდების მაღალი ტექნოლოგიები – პერუ
ANDEAN HIGH TECHNOLOGY – PERU

13 პოლონეთის ეროვნული კინოარქივი – აუდიოვიზუალური ინსტიტუტი
POLAND NATIONAL FILM ARCHIVE - AUDIOVISUAL INSTITUTE

14 პორტუგალიის კინოთეკა – კინოს მუზეუმი
CINEMATECA OF PORTUGAL – MUSEUM OF CINEMA

15 ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული არქივი
UNITED STATES NATIONAL ARCHIVES AND RECORDS ADMINISTRATION (NARA)


**ფილმები ორიგინალ ენაზე ინგლისური სუბტიტრებით**
**FILMS ON ORIGINAL LANGUAGE WITH ENGLISH SUBTITLES**


TIAFF@archives.gov.ge www.archives.gov.ge 1 Vazha-Pshavela Ave. /40 Pekini Ave.

BULGARIAN
NATIONAL
FILM ARCHIVE

## ბულგარეთის ეროვნული კინოარქივი

### THE BALKAN WAR (1913) 55'

საომარი ფილმის გადაღების სირთულეს ალექსანდრე ივანოვ ჟეკოვი, რომელიც ამავე ჟანრის ფილმებს ფრანგული კინოკომპანია "Pathé"-სთვისაც იღებდა, პროფესიონალურად გაუმკლავდა. ამ კონკრეტულ ნამუშევართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ორი საკითხი: პირველი – კინოს ექსპრესიულობა იმ პერიოდში ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იყო და, მეორე – ევროპაში ნაკლებად არსებობდა სამხედრო მოქმედებების დოკუმენტირების ტრადიცია. პირველი მსოფლიო ომის მეორე ნახევარმა (1916–1917) ორივე ფაქტორს ჩაუყარა საფუძველი. ამ დრომდე უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების კადრები კინოში არ გადაუღიათ. ტანე ნიკოლოვი, ბაშიბუზუკები და რუსული საავადმყოფო ჟეკოვის მიერ შექმნილი მხოლოდ რამდენიმე ცოცხალი და ექსპრესიული სცენაა.

## БЪЛГАРСКА НАЦИОНАЛНА ФИЛМОТЕКА
## BULGARIAN NATIONAL FILM ARCHIVE

### THE BALKAN WAR (1913) 55'

The difficulty of capturing combat on film was something that Alexander Ivanov Zhekov, who also directed the wars for the French film company "Pathé," handled expertly. Regarding this specific work, two points are important: first, film expression was still developing at the time, and second, there was lack of tradition in Europe for documenting military activity. The second half of World War I (1916–1917) laid the groundwork for both. There had never been footage of direct combat until this moment. Tane Nikolov, the bashibazouks, and the Russian hospital are just a few of the vibrant and expressive scenes that Zhekov paints.





## კატალონიის კინოარქივი

### სამოყვარულო დოკუმენტური ფილმები (1932-1936) 86'

RAPSÒDIA CÍVICA / CIVIC RHAPSODY
EL VI / WINE
RITME DE VIDA / RHYTHM OF LIFE
FUSTA DE PI / PINE TIMBER
ESCOLA DE MAR

სამოყვარულო კინო რეალობაზე დაკვირვების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, რადგან არასტანდარტული ფორმატები არ ცენზურდებოდა და 9,5- და 16 მმ-იანი კამერები პორტატიული და ადვილად გამოსაყენებელი იყო. ეპოქის გამორჩეული ვიზუალური მემკვიდრეობა შექმნეს სწორედ მოყვარულმა კინემატოგრაფისტებმა, რომლებიც გავიდნენ ქუჩებში მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების ქვეშ მყოფი სამყაროს დასაფიქსირებლად. ისეთი ინსტიტუტების გავლენით, როგორიცაა რომის საგანმანათლებლო კინემატოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტი ან კატალონიის მთავრობის კინოკომიტეტი, მოყვარული კინორეჟისორები ქმნიდნენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფილმებს არაკომერციული ჩვენებებისთვის განსაზღვრულ თემებზე, მაგალითად, ქალთა სპორტზე, მასმედიის გავლენაზე, პირველადი სექტორის ტრანსფორმაციაზე, პოპულარულ ფესტივალებსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

## FILMOTECA DE CATALUNYA
## CATALONIA FILM ARCHIVE

### სამოყვარულო დოკუმენტური ფილმები (1932-1936) 86'

RAPSÒDIA CÍVICA / CIVIC RHAPSODY
EL VI / WINE
RITME DE VIDA / RHYTHM OF LIFE
FUSTA DE PI / PINE TIMBER
ESCOLA DE MAR

Because non-standard formats were uncensored and because 9,5- and 16-mm cameras were portable and easy to use, amateur cinema became a formidable tool for observing reality. A distinctive visual legacy of the era was created by amateur filmmakers who took to the streets to document a world going through significant social, cultural, and political changes. Influenced by the institutions such as the International Institute of Educational Cinematography in Rome or the Film Commitee of the Generalitat de Catalunya, amateur filmmakers produced educational and scientific films about subjects that were not appropriate for the commercial screen, like women's sports, the mass media's influence, the primary sector's transformation, and snapshots from popular festivals or everyday life.





## ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ – ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲙᲐ

### HOTEL SUNJA (1992) 37'

1992 წელს იუგოსლავიის არმიამ და სერბეთის გასამხედროებულმა ძალებმა ხორვატიის მესამედი დაიპყრეს. მებრძოლთა რაზმი თავის პოზიციას იცავდა პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოფელ სუნიაში, სადაც ისინი დამპყრობლების მიერ სამი მხრიდან გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ. ივან სალაჟმა, ახალგაზრდა და ნიჭიერმა რეჟისორმა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ კინოსკოლაში სწავლობდა, გადაწყვიტა, მათი ისტორია თავისი სტუდენტური ფილმის თემად გამოეყენებინა. ფილმი იმ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად ითვლება, როდესაც ხორვატიის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ საფრთხის ქვეშ იყო, და სრული სიზუსტით ასახავს ცხოვრებას ფრონტის ხაზზე. „სასტუმრო სუნიას“ კიდევ უფრო გამოარჩევს ის ფაქტი, რომ იგი გადაიღო სტუდენტების ჯგუფმა, რომელთაც ფილმი სიცოცხლის რისკის ფასად შექმნეს.

## HRVATSKA KINOTEKA HRVATSKOG DRŽAVNOG ARHIVA
## CROATIAN STATE ARCHIVES - CROATIAN CINEMATHEQUE

### HOTEL SUNJA (1992) 37'

In 1992, the Yugoslav army and Serbian paramilitary forces captured one-third of Croatia as the country was engulfed in a state of war. A squad of fighters is defending their position in the small but strategically significant village of Sunja, where the invaders have surrounded them on three sides. Ivan Salaj, a young and gifted director who was still enrolled in film school at the time, chooses to use their story as the subject of his student film. Considered one of the most important films from a period when Croatian independence was still at stake, it provides an accurate portrayal of life on the front lines. What makes Hotel Sunja even more special is that it was made by a group of students who risked their lives to make the movie.





Národní filmový archiv

## ჩეხეთის ეროვნული კინოარქივი

### POLITICAL BREAKS IN CZECHOSLOVAK HISTORY THROUGH THE EYES OF FILMMAKERS (1948 AND 1968) 75'
### GEORGIA THROUGH THE EYES OF CZECH TOURISTS AND FILMMAKERS (1946-1970S) 80'

პირველი პროგრამა მოიცავს რამდენიმე გამორჩეულ ყოველკვირეულ კინოჟურნალს, სადაც ნაჩვენებია ჩეხოსლოვაკიის ისტორიის გარდამტეხი მომენტები: მეორე მსოფლიო ომის დასასრული, კომუნისტური პუტჩი (1948), ვარშავის პაქტის შეიარაღებული ძალების ოკუპაცია (1968) და იან პალაჩის დაკრძალვა, რომელმაც ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა.

მეორე პროგრამა წარმოადგენს 1946-1970-იანი წლებში საქართველოში ჩამოსული ტურისტების მიერ გადაღებულ სამოყვარულო ფილმებს. ასევე ნაჩვენები იქნება იან შპატას მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი თბილისის შესახებ (1968).

## NÁRODNÍ FILMOVÝ ARCHIV
## CZECH NATIONAL FILM ARCHIVE

### POLITICAL BREAKS IN CZECHOSLOVAK HISTORY THROUGH THE EYES OF FILMMAKERS (1948 AND 1968) 75'
### GEORGIA THROUGH THE EYES OF CZECH TOURISTS AND FILMMAKERS (1946-1970S) 80'

The first program is a compilation of several original weekly newsreels showing the critical breaks in the history of Czechoslovakia: the end of WW2, the communist putch (1948), the occupation of the Warsaw Pact armies (1968), and the funeral of Jan Palach, who burned himself in protest against the occupation.

The second program will showcase a compilation of amateur films shot by tourists visiting Georgia between 1946 and 1970. In addition, there will be a short professional documentary about Tbilisi by Jan Špáta (1968).





REPUBLIC OF ESTONIA
NATIONAL ARCHIVES

## ესტონეთის ეროვნული არქივის კინოარქივი

### “KIRE LAINED" (WELLEN DER LEIDENSCHAFT, WAVES OF PASSION) 84'

1930 წლის შუა ზაფხულმა ესტონეთში მოიტანა ომთაშორის პერიოდის ყველაზე სანახაობრივი ფილმი, რომელიც ასევე იყო ქვეყნის პირველი საერთაშორისო ერთობლივი ნამუშევარი. ალკოჰოლის კონტრაბანდისა და ვნებიანი სიყვარულის შესახებ ისტორიის გმირები არიან ვლადიმირ გაიდაროვი, გულთამპყრობელი პოლტავადან (უკრაინა) და იტა რინა, საუცხოო სლოვენიელი კინოვარსკვლავი, რომელმაც ააზვირთა ცენტრალური ევროპის კინოს სამყარო. ესტონელ სასცენო ტალანტებს შორის უგო ლოური, ანტს ესკოლა და რობერტ რუდი გამოჩნდნენ. "KIRE LAINED" ესტონეთში გამოვიდა მუნჯი ფილმის სახით, ცოცხალი საორკესტრო მუსიკის თანხლებით.

ფილმის ორიგინალური ნეგატივი დაკარგულია, მაგრამ ესტონეთის ეროვნული არქივის კინოარქივი ინახავს ვინტაჟური ფილმის ერთადერთ ხელმისაწვდომ ელემენტს: თანამედროვე ესტონურ ნიტროფუძიან ასლს სამენოვანი ინტერტიტრებით. ფილმის 4K ციფრული რესტავრაცია ესტონეთის ეროვნული არქივის კინოარქივში 2023 წელს დასრულდა. მას ახლავს ნაწილობრივ შემორჩენილი ორიგინალური საუნდტრეკი და მუსიკა, რომელიც 2023 წელს კორნელიუს რენცმა შექმნა. რესტავრაცია განხორციელდა “A Season of Classic Films"-ის მხარდაჭერით, რომელიც ACE - Association des Cinémathèques Européennes-ის ინიციატივაა და ევროკომისიის Creative Europe MEDIA პროგრამის ნაწილია.

## RAHVUSARHIIVI FILMIARHIIV
## FILM ARCHIVE OF THE NATIONAL ARCHIVES OF ESTONIA

### “KIRE LAINED" (WELLEN DER LEIDENSCHAFT, WAVES OF PASSION) 84'

The midsummer of 1930 brought to Estonia the most spectacular film production of the interwar period, which was also the country's first international co-production. The stars of this story about alcohol smuggling and passionate love are Vladimir Gaidarov, a heartbreaker born in Poltava, Ukraine, and Ita Rina, a stunning Slovenian film star then making waves in the Central European film world. Of the Estonian stage talents, Hugo Laur, Ants Eskola, and Robert Rood appeared in the film. Waves of Passion was released in Estonia as a silent film, accompanied by live orchestral music.

The original negative of the film is lost, but the Film Archive of the National Archives of Estonia preserves the only known vintage film element: a contemporary Estonian nitrate release print with trilingual intertitles. This 4K digital restoration, completed in 2023 at the Film Archive of the National Archives of Estonia, is accompanied by the partially surviving original soundtrack and music composed in 2023 by Cornelius Renz. The restoration was realized with the support of “A Season of Classic Films," an initiative of ACE (Association des Cinémathèques Européennes), part of the European Commission's Creative Europe MEDIA program.





# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

## SPITZENCHRISTEL / BALLERINA CHRISTEL, A CHRISTMAS STORY (1917) 24'

## KRÜMELCHENS ERSTE LIEBE / LITTLE CRUMBLE'S FIRST LOVE (1918) 15'

## BUBIS LOCKEN / BUBI'S HAIRCUT (1919) 28'

ჰანა ჰენინგის მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა – გერმანული საბავშვო და ახალგაზრდული ფილმების სერიის დაბადება

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, კინოს განვითარების ადრეულ წლებში, საბავშვო ფილმები და ფილმების სერიები ართობდა, აფრთხობდა და აღაფრთოვანებდა ყველა ასაკის მაყურებელს. იმ დროს პოპულარობის მიუხედავად, კინოს ისტორიაში მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ხშირ შემთხვევაში არაიდენტიფიცირებული, არქივებში საგულდაგულოდ შენახული მასალა ოდესმე დღის შუქს იხილავს. ამ მივიწყებული და, ძირითადად, დაკარგული მოკლემეტრაჟიანი ფილმების გამოვლენას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება, მითუმეტეს თუ იგი ქალის მიერ არის შექმნილი. წარმოდგენილი პროგრამა სწორედ ამგვარ უნიკალურ აღმოჩენას გვთავაზობს. სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გერმანელი პროდიუსერის, რეჟისორისა და სცენარისტის ჰანა ჰენინგის ადრეული, 1910-იანი წლების მეორე ნახევრისა და 20-იანი წლების, ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ქალი რეჟისორის ნამუშევრებია.

# DFF – DEUTSCHES FILMINSTITUT & FILMMUSEUM
# DFF – GERMAN FILM INSTITUTE & FILM MUSEUM

## SPITZENCHRISTEL / BALLERINA CHRISTEL, A CHRISTMAS STORY (1917) 24'

## KRÜMELCHENS ERSTE LIEBE / LITTLE CRUMBLE'S FIRST LOVE (1918) 15'

## BUBIS LOCKEN / BUBI'S HAIRCUT (1919) 28'

Short film program Hanna Henning - The Birth of German Children's and Youth Film Series

For more than a century, children's films and film series have amused, frightened, and thrilled audiences of all ages during the early years of cinema. They were very popular at the time, but there is very little of them in the canon of cinema history. There is little chance that these frequently unidentified material will ever be viewed again as they sit inert in the archives. It needs a special effort to bring these forgotten and mostly lost short forms back to light if they were realized by a woman. This program offers just such a particularly rare discovery. The three shorts provide an insight into the early work of the German producer, director, and screenwriter Hanna Henning, one of the most productive female directors of the second half of the 1910s and very early 20s.





# საქართველოს ეროვნული არქივი

## ალავერდობა (1962) 37'

ფილმი გურამ რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ გადაიღო. „ალავერდობა“ ილაშქრებს იმ ადამიანთა წინააღმდეგ, ვისთვისაც იდეა – ცრურწმენად, ზნეობრივი ტრადიცია კი – ცრუ ტრადიციად ქცეულა. თუმცა მათ შესწევთ ძალა პროტესტი გამოუცხადონ, აღდგნენ საკუთარი სიცარიელის წინააღმდეგ და სძლიონ კიდეც მას. ფილმის გმირი ახერხებს წუთით მაინც გამოიყვანოს ტაძრის ეზოში შეკრებილი ხალხი სულიერი გამოფიტვის მდგომარეობიდან და ეს იმპულსი, შესაძლოა, მომავალი ნათელი აზროვნების დასაწყისად იქცეს.

# NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

## ALAVERDOBA (1962) 37'

Giorgi Shengelaya directed the movie, which was based on the same-titled story by Guram Rcheulishvili. "Alaverdoba" protests against those who have turned the moral tradition into a lie and the notion into a superstition. They will, nevertheless, be able to rebel, confront, and even defeat their own emptiness. For at least a minute, the movie's hero is able to lift the people assembled in the temple courtyard from a condition of spiritual exhaustion, and this may mark the start of future moments of clarity.





# საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

## პირველი მერცხალი (1975) 75'

ფოთში ქალაქის კოლორიტი იასონი თანამოაზრეებთან ერთად პირველ საფეხბურთო გუნდ „მერცხალს“ შექმნის. თანამოქალაქეთა მხრიდან დაცინვა, ოჯახის წევრების უკმაყოფილება და უსახსრობა მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. გუნდის წევრები აგრძელებენ ვარჯიშს და ფეხბურთის პოპულარიზაციას ცდილობენ. რამდენიმე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ „მერცხალი“ ინგლისელ მეზღვაურებთან გამართულ საფეხბურთო მატჩში მარცხდება.

# NATIONAL FILM CENTER OF GEORGIA

## PIRVELI MERTSKHALI / THE FIRST SWALLOW (1975) 75'

Together with a few like-minded people, Jason—an enthusiastic and renowned inhabitant of Poti—forms the town's first-ever football club. Despite being ridiculed by their fellow citizens, criticized by their families, and lacking funds, the players continue to train and try to popularize football. After having defeated numerous foreign and domestic teams, the 'Swallows' are beaten by a team of English sailors.





NATIONAL
FILM INSTITUTE
HUNGARY
FILM ARCHIVE

## ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

### SPRINGTIME IN BUDAPEST (1955) 91'

შობა, 1944 წელი. ორი ჯარისკაცი დეზერტირად გაიპარა ალყაში მოქცეულ ბუდაპეშტში. გაზო კონტაქტს ამყარებს წინააღმდეგობის მოძრაობასთან, მაგრამ ზოლტანს აღარ სურს იარაღის ხელში აღება. ერთადერთი სურვილი აქვს, რომ ომს გადაურჩეს და საშინელებათა ჩრდილში გაფურჩქნულ სიყვარულზე იზრუნოს. თუმცა მოვლენების განვითარებასთან ერთად, მისი დამოკიდებულება სწრაფად იცვლება. ფელიქს მარიასის ამაღელვებელი ნამუშევარი, რომელიც უბრალო ადამიანების თვალით დანახულ ომის ბოლო დღეებს ასახავს, პირველი მხატვრული ფილმია ჰოლოკოსტის ტრაგედიაზე, რამაც იგი უნგრეთის ისტორიული მეხსიერების უაღრესად მნიშვნელოვან ფილმად აქცია.

## NEMZETI FILMINTÉZET MAGYARORSZÁG – FILMARCHÍVUM
## NATIONAL FILM INSTITUTE HUNGARY - FILM ARCHIVE

### SPRINGTIME IN BUDAPEST (1955) 91'

Christmas 1944. Two soldiers gone AWOL arrive in a Budapest that is under siege. Gazsó makes contact with the resistance but Zoltán never wants to take up arms again. He just aims to survive the war and take care of his love flowering in the shadow of horrors. However, as events unfold his attitude quickly changes. Félix Máriássy's moving work, which projects the end days of the war from the perspective of everyday people, was the first feature film to examine the tragedy of the Holocaust, thus making it a hugely significant film of Hungarian historical remembrance.







## მალტის ეროვნული არქივი

GIUSEPPE (1972) 22'

სესილ სატარიანომ (1930–1996), მალტელმა კინორეჟისორმა, ფოტოგრაფმა და რომანისტმა შექმნა GIUSEPPI, 20 წუთიანი 8 მმ-იანი ფილმი. GIUSEPPI არის სატარიანოს ყველაზე წარმატებული პროექტი, შექმნილი რონი დემახოს თანამონაწილეობით, მარიო ფილიპ აზოპარდის დახმარებითა და ფრენკ პიზანისა და კარმენ აზოპარდის მონაწილეობით.

ფილმი მალტის ეროვნული არქივის ფონდების ნაწილია რეჟისორ სესილ სატარიანოს კიდევ ოთხ სხვა ფილმთან ერთად. 8- და 16 მმ-იანი ფილმები გაციფრებული და აღდგენილია. აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის კინოპროექტი განხორციელდა ფარსონსის ფონდის, მალტის ეროვნული არქივის მეგობრებისა და მალტის ეროვნული არქივის პარტნიორობით. სესილ სატარიანოს კინონამუშევრების აღდგენისთვის საჭირო მასალის შეგროვება შესაძლებელი გახდა სატარიანოს ოჯახისა და რონი დემახოს მხარდაჭერით.

## L-ARKIVJI NAZZJONALI TA' MALTA
## NATIONAL ARCHIVES OF MALTA

GIUSEPPE (1972) 22'

Cecil Satariano (1930–1996), a Maltese filmmaker, photographer, designer, and novelist, created GIUSEPPI, a 20-minute Super 8mm film. GIUSEPPI is Satariano's most successful production, co-produced with Ronnie Demajo with the assistance of Mario Philip Azzopardi and starring Frank Pisani and Karmen Azzopardi.

They are included in the archive holdings of the National Archives of Malta, along with four more films directed by Cecil Satariano. The Super 8 and 16mm films have undergone digitization and restoration processes. The Farsons Foundation, Friends of the National Archives of Malta, and the National Archives of Malta are partners in this cultural heritage film project, which is being directed by Veronica Galea. It was feasible to gather the materials needed to restore Cecil Satariano's film work due to the generosity and support of the Satariano family and Ronnie Demajo.





Agenția
Națională
a Arhivelor

## მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საარქივო სააგენტო

### დოკუმენტური კადრები (1920-1930 - იანი წლები) 10'

კინოპროგრამაში წარმოდგენილია 1920-1950-იან წლებში მოსკოვის, კიევისა და ოდესის სტუდიებში გადაღებული ეპიზოდები კინოჟურნალებიდან. აღნიშნული საარქივო წყაროები ერთ-ერთი უძველესი კინოდოკუმენტებია, რომლებიც მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნულ საარქივო სააგენტოში ინახება. 1970-იანი წლების დასაწყისში მათი ასლები საბჭოთა მოლდოვის დედაქალაქის არქივს გადაეცა. ფილმები 1924 წლის 12 ოქტომბერს მოლდოვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (MASSR) შექმნასა და საბჭოთა უკრაინის ფარგლებში მისი არსებობის პირველ წლებს ეძღვნება.

კინოდოკუმენტში გაშუქებულია MSSR-ის ისტორია 1929 წელს ტირასპოლში ორგანიზაციის დაარსების წლისთავის და უკრაინაში მასობრივი შიმშილობის დროს, 1931 წლის მუნიციპალურ არჩევნებთან ერთად. ასახულია ცალკეული ოჯახების კოლექტივიზაცია, „ბრძოლა ძველსა და ახალს შორის“, „რაციონალიზაციის“ ხასიათი და მიწის მართვის „მექანიზაცია“, ისევე როგორც ქუჩის პროტესტები და დემონსტრაციები სსრკ-ის ურბანულ ცენტრებში.

## AGENŢIA NAŢIONALĂ A ARHIVELOR, REPUBLICA MOLDOVA
## NATIONAL AGENCY FOR ARCHIVES, REPUBLIC OF MOLDOVA

### DOCUMENTARIES (1920-1930S) 10'

The film program features sequences from video magazines that were shot in studios in Moscow, Kiev, and Odessa between the 1920s and 1950s. These archival sources are some of the oldest filmic documents kept in the National Agency for Archives of the Republic of Moldova. In the early 1970s, they were moved in copy form to the archive in the capital of Soviet Moldova. The movies center on the formation of the Moldavian Autonomous Soviet Socialist Republic (MASSR) on October 12, 1924, and the initial years of its existence within Soviet Ukraine.

A history of the MASSR is covered in the video, along with the somber commemorations of the organization's founding anniversary in Tiraspol in 1929 and the 1931 municipal elections during the mass famine in Ukraine. The collectivization of individual households, the "struggle between the old and the new," the ethos of "rationalization," and the "mechanization" of land management are also revealed in the following sequences, as are street protests and demonstrations in USSR's urban centers, where participants call for Bessarabia's "recovery," its release from the "occupation" of the Romanian Kingdom, and its annexation to the USSR.





Alta Tecnología Andina

## ანდების მაღალი ტექნოლოგიები – პერუ

### THE UNCONDITIONED UNCONCEALMENT (1974) 29'

რაფაელ ჰასტინგსი (1945-2020) იყო პერუელი მულტიდისციპლინარული მხატვარი, რომლის ფილმებმაც ლათინური ამერიკის კინემატოგრაფიაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. The Unconditioned Unconcealment [4 მოკლემეტრაჟიანი ფილმი გაქრობაზე] (1974) ეფუძნებოდა ფერნანდო ლიოსა პორასის კვლევას ძველ ჩინურ მითზე, რომელიც სიმბოლური თვალსაზრისით ახალი ეპოქის დასაწყისზე მოგვითხრობს. ლიოსა პორასმა დაადგინა, რომ ამ ლეგენდის არსში საოცარი მსგავსებაა ანდებისა და მესოამერიკული კულტურების მითოლოგიებთან. ჰასტინგსის მოკლემეტრაჟიანი ფილმები მჭერმეტყველურად ასახავს, თუ რა გავლენა მოახდინა აღმოსავლურმა ფილოსოფიამ ძველი პერუს ადრეულ კულტურებზე.

პერუში (რადგან ფილმების ჩვენება აიკრძალა სიშიშვლის გამო ) პროდიუსერმა გადაწყვიტა შეექმნა ვერსიები, რომლებიც კომერციულად გავრცელდებოდა ავტორის ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა, დროთა განმავლობაში, 50 წლის მანძილზე ყველა ეგზემპლარი დაიკარგა. პერუელ კურატორს ხოსე-კარლოს მარიატეგის ორი ათწლეული დასჭირდა მთელს მსოფლიოში იმ ადგილების მოსანახულებლად, სადაც ფილმი იყო ნაჩვენები. საბოლოოდ, 2021 წელს, ჰასტინგსის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მან ნამუშევარს ესპანეთის კინოთეკაში მიაკვლია.

## ALTA TECNOLOGIA ANDINA – PERU
## ANDEAN HIGH TECHNOLOGY – PERU

### THE UNCONDITIONED UNCONCEALMENT (1974) 29'

Rafael Hastings (1945-2020), was a Peruvian multidisciplinary artist whose films were a disruptive force in Latin American cinematography. The Unconditioned Unconcealment [4 Short Films On The Fact Of Disappearing] (1974) was based on a study by Fernando Llosa Porras of an ancient Chinese myth that narrates the beginning of a new era in symbolic terms. Llosa Porras identified that the essence of this legend bore a striking resemblance to the mythologies of the cultures of the Andes and Mesoamerica. Hastings' short films poetically depict the influence of oriental thought in the first cultures of Ancient Peru.

In Peru, since the exhibition of the films was denied due to the presence of nudity, the producer decided to make versions that could circulate commercially against the author's will. However, as time went by, all the copies were lost for 50 years. It took the Peruvian curator José-Carlos Mariátegui two decades of retracing the places around the world where they were shown to find them in the Spanish Cinematheque in 2021, a few months after Hastings' passing.





Filmoteka Narodowa
Instytut Audiowizualny

## პოლონეთის ეროვნული კინოარქივი – აუდიოვიზუალური ინსტიტუტი

### ანიმაციური ფილმები კომუნისტური პოლონეთის ტურბულენტურ 1980 - იან წლებზე – 90'

ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმები 1980-იანი წლების პოლონეთის მნიშვნელოვან მოვლენებზე (როგორიცაა სამხედრო მდგომარეობა ან ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლა 1989 წლის შემდეგ) მოგვითხრობს. ფილმებში ასევე განხილულია როგორც შიდა პოლიტიკური და კულტურულ რეალობა, ისე საგარეო პოლიტიკა.

## FILMOTEKA NARODOWA - INSTYTUT AUDIOWIZUALNY
## POLAND NATIONAL FILM ARCHIVE - AUDIOVISUAL INSTITUTE

### ANIMATION FILMS VIS-A-VIS THE TURBULENT 1980S IN COMMUNIST POLAND – 90'

A collection of animated shorts that make reference to significant Polish events from the 1980s (such martial law or the country's democratic transition after 1989). The films also discuss domestic political and cultural realities as well as foreign policy..







## პორტუგალიის კინოთეკა – კინოს მუზეუმი

### 25 DE ABRIL 3 DA TARDE NO LARGO DO CARMO (1974) 4'
### REVOLUÇÃO (1975) 11'
### ANO 1º - 1º DE MAIO (1975) 10'
### PAREDES PINTADAS DA REVOLUÇÃO PORTUGUESA (1976) 9'
### AVANTE COM A REFORMA AGRÁRIA (1977) 20'

წარმოდგენილი პროგრამა არის იშვიათი და უნიკალური კინოდოკუმენტების ერთიანობა 1974 წლის 25 აპრილის მოვლენების, პორტუგალიის რევოლუციის შესახებ, რომელმაც ორმოცწლიანი დიქტატურა დაასრულა. ნამუშევრები ასახავს იმ პერიოდის ემოციასა და „ხალხისთვის ხმის უფლების მიცემის“ აუცილებლობას, რადგან გაჩუმება მრავალწლიან ავტორიტარულ მმართველობასთან ასოცირდებოდა. აერთიანებს როგორც სამოყვარულო კინოს, ისე კინოჟურნალებსა და პროფესიონალების მიერ გადაღებულ ფილმებს. ზოგიერთი მათგანი ხელს უწყობს ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნის ინტელექტუალურ სტრუქტურას.

მოყვარული კინორეჟისორის მანუელ ანტონიო პირესის "25 de Abril 3 da Tarde no Largo do Carmo" უდავოდ ყველაზე განყენებული ნამუშევარია, რადგან იგი მნიშვნელოვან რევოლუციურ მოვლენებს აღწერს. გარდაცვლილი ანა ჰეთერლის მიერ შექმნილი „რევოლუცია“ აღბეჭდავს პოლიტიკური დისკუსიების ხმაურიან პროტესტს სიტყვების, ფრაზების, პლაკატებისა და კედლის ნახატების საშუალებით. დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა Unidade de Produção Cinematográfica-მ გადაიღო "Ano 1º - 1º de Maio" და "Avante com a Reforma Agrária" მიმდინარე რევოლუციურ პროცესთან დაკავშირებული ნარატივის გასავრცელებლად.

## CINEMATECA PORTUGUESA - MUSEU DO CINEMA
## CINEMATECA OF PORTUGAL – MUSEUM OF CINEMA

### 25 DE ABRIL 3 DA TARDE NO LARGO DO CARMO (1974) 4'
### REVOLUÇÃO (1975) 11'
### ANO 1º - 1º DE MAIO (1975) 10'
### PAREDES PINTADAS DA REVOLUÇÃO PORTUGUESA (1976) 9'
### AVANTE COM A REFORMA AGRÁRIA (1977) 20'

This is a collection of rare and unique documents concerning the April 25, 1974, Portuguese revolution that brought an end to forty years of dictatorship. These works capture the emotion of the moment and the need of "giving a voice to the people," given the silencing associated with many years of authoritarian administration. They range from amateur cinema and newsreels to artists' films. A few of the titles also contribute to the intellectual framework of a newly formed country.

"25 de Abril 3 da Tarde no Largo do Carmo" by an amateur filmmaker Manuel António Pires is arguably the purest of records because it captures significant revolution events as they transpired. "Revolution," created by the late Ana Hatherly, documents the clamor of political discussions by capturing words, phrases, posters, and wall paintings. The collaborative Unidade de Produção Cinematográfica, created by the temporary government, produced "Ano 1º - 1º de Maio" and "Avante com a Reforma Agrária" to provide a narrative for the ongoing revolutionary process.

Digitization by Cinemateca Portuguesa - Museu do Cinema, under the scope of the Recovery and Resilience Plan . A measure integrated into the Next Generation EU program





## აშშ-ის სახელმწიფო ეროვნული არქივი

**UNITED NEWS #105 (2 ივნისი, 1944)**
**ადგილობრივი ID: 208-UN-105**
**UNIVERSAL NEWSREEL, VOLUME 33, RELEASE 1 (31 დეკემბერი, 1959)**
**ადგილობრივი ID: UN-UN-33-1**
**"APOLLO 13: HOUSTON, WE'VE GOT A PROBLEM" (1970)**
**ადგილობრივი ID: 255-HQ-200**
**ხანგრძლივობა 45'**

პროგრამა წარმოადგენს კინოში აღბეჭდილი ისტორიული მოვლენების კადრების შეფუთვისა და წარმოდგენის სხვადასხვა გზას. პირველი ფილმი, "United News #105", არის 1944 წლის კინოჟურნალი, რომელიც გადაღებულია ომის ინფორმაციის ოფისის (OWI) ეგიდით მეორე მსოფლიო ომის დროს. “United News“ ფუნქციონირებდა შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ როგორც საინფორმაციო, ისე პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. ეს გამოშვება არის ომის ოპერატორებზე, რომელთაც ომი ბრძოლის ველზე ასახეს. მეორე ფილმი NARA-ს საყოველთაო ახალი ამბების კოლექციიდანაა. იგი NARA-ს 1970 წელს “Universal Pictures“-მა გადასცა. 1959 წლის კინოჟურნალი გადმოსცემს როგორც სერიოზულ, ისე მსუბუქ ამბებს ცივი ომისა და კოსმოსური რბოლის აქტუალურობის პერიოდში. ბოლო ფილმი არის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (NASA) სათაო ოფისის სერიიდან. მასში ასახულია აპოლოს მთვარეზე მისიების თითოეული ნაბიჯი. "Apollo 13: Houston, We've Got a Problem" (1970) დიდი რაოდენობით იყენებს მთვარეზე მისიის დროს შექმნილ კადრებსა და აუდიო მასალას და მოგვითხრობს იმ უდიდეს ძალისხმევაზე, რომელიც კოსმოსში ინციდენტის შემდეგ Apollo 13-ის ასტრონავტების შინ დასაბრუნებლად  გახდა საჭირო.

## UNITED STATES NATIONAL ARCHIVES AND RECORDS ADMINISTRATION (NARA)

**UNITED NEWS #105 (JUNE 2, 1944)**
**LOCAL ID: 208-UN-105**
**UNIVERSAL NEWSREEL, VOLUME 33, RELEASE 1 (DECEMBER 31, 1959)**
**LOCAL ID: UN-UN-33-1**
**"APOLLO 13: HOUSTON, WE'VE GOT A PROBLEM" (1970)**
**LOCAL ID: 255-HQ-200**
**DURATION 45'**

The program explores different ways of packaging and presenting footage of historical events captured on film. The first film, "United News #105," is a 1944 newsreel produced under the auspices of the Office of War Information (OWI) during World War II. United News functioned both as an informational and propaganda tool in the United States and abroad. This release features a story about the combat cameramen who documented the war on the battlefield as it happened. The second film comes from NARA's Universal News Collection, donated to NARA in 1970 by Universal Pictures. This “Year in Review” newsreel highlights both serious and lighthearted stories chronicled in theatrical Universal Newsreel releases from 1959, during which the Cold War and the Space Race were at the front of people's minds. Final film comes from the National Aeronautics and Space Administration's (NASA) Headquarters Series, which chronicled every step of the Apollo moon missions and beyond. "Apollo 13: Houston, We've Got a Problem" (1970) uses the vast amounts of film footage and audio typically create





TIAFF@archives.gov.ge www.archives.gov.ge 1 Vazha-Pshavela Ave. /40 Pekini Ave.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

იუსტიციის
სამინისტრო